ვაჰრამ გაფეჭიანის მემორიალური დაფის გახსნა ახალციხეში



თაობებმა უნდა ვიცოდეთ ერის საუკეთესო შვილების შესახებ, უფროსმა თაობამ უნდა იზრუნ ოს
მის
ღირსეულ
თანამემამულე
თა სახელების იმ
ქვეყ
ნის,
ქალაქი
ს
, ქუჩ
ისა
და სახლის
ნაწილად ქცევისათვის, სადაც ისინი დაიბადნენ
, მოღვაწეობდნენ
და გახდ
ნენ მისი

1 / 3

ვაჰრამ გაფეჭიანის მემორიალური დაფის გახსნა ახალციხეში

სიამაყე
. აი ამ
იდე
ის
განხორციელების
ლამაზი
დასტური იყო
22 სექტემბერს
ახალციხ
ეში
დიდი მხატვრი
ს ვაჰრამ გაფეჭიანის მემორიალის გახსნის ცერემონია, რომლის იდეა ეკუთვნის ახალციხის მხატვართა კავშირ
ს, იდეას მხარი დაუჭირა ახალციხის მუნიციპალიტეტმა.

მემორიალი გაიხსნა იმ სახლის კედელზე, სადაც დაიბადა და გაიზარდა დიდი მხატვარი, მემორიალური დაფის ავტორია ახალციხის შემოქმედთა კავშირის თავმჯდომარე ალექსანდრე იგითხანიანი.

ღონისძიებას ესწრებოდნენ სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი ივანე წიკლაური, ახალციხის მერი, მერის მოადგილე და სხვა საზოგადო მოღვაწეები. ცერემონიას ესწრებოდნენ საქართველოში სრ რესპუბლიკის ელჩი ჰოვანეს მანუკიანი, დიასპორის სამინისტროს კავკასიის განყოფილების ხელმძღვანელი ტარონ შაგოიანი, „კარინ“ ანსამბლის ხელმძღვანელი გაგიკ გინოსიანი და სხვა.

ვაჰრამ გაფეჭიანის მემორიალური დაფის გახსნა ახალციხეში

მემორიალური ქვის გახსნის პატივი ერგო სრ სრულუფლებიან და საგანგებოს ელჩ ჰოვანეს მანუკიანს, სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორ ივანე წიკლაურს და მხატვრის ქალიშვილს. სომხეთის ელჩმა გამოსვლაში მადლობა გადაუხადა ღონისძიების ყველა ორგანიზატორს და აღნიშნა, რომ მდიდარია საქართველოს კულტურა, მდიდარია აგრეთვე იმით, რომ განვითარების გზაზე მასში თავისი წვლილი შეიტანა საქართველოს სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებმა.

ღონისძიება გაგრძელდა ახალციხის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, სადაც გამოვიდნენ "კ
არინ
" ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი და კომპოზიტორი გიორგი
მანასიანის გუნდი. ღონისძიების ორგანიზატორი და ფინანსური მხარდამჭერი გახლდათ ახალციხის მერია.